აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2017 წლის 29 ივნისი

აბაშა

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, „დ“ ქვეპუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ,,პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების და „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები და თანამდებობრივი სარგოების ოდენობები (დანართი №1).

მუხლი 2

დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა (დანართი №2).

მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №28 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ქურდოვანიძე**

დანართი №1

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები და თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოები (ლარებში)
	პოლიტიკური თანამდებობის პირები	
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	2600

2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2150
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1760
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1650
	პირველი რანგი	
5.	საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი	1450
	მეორე რანგი	
6.	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1000
	მესამე რანგი	
7.	საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	750

დანართი №2

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა

№	სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა
1.	**საკრებულოს აპარატი**	
ა)	პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი	1
ბ)	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში	1
გ)	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1
დ)	საინფორმაციო უზრუნველყოფის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
ე)	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში	1
ვ)	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ახალგაზრდულ და დემოგრაფიულ საკითხებში	1
ზ)	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქართული სახელმწიფო ენის სიწმინდის დაცვის საკითხებში	1

2.	**იურიდიულ საკითხთა განყოფილება**	
ა)	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი	1
ბ)	იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
3.	**საქმისწარმოების განყოფილება**	
ა)	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმის წარმოების განყოფილების უფროსი	1
ბ)	საქმის წარმოების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
საშტატო ერთეულის ჯამი:		**11**
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები		
ა)	მდივანი	1
ბ)	დამლაგებელი	1
გ)	მძღოლი	2
დ)	ტექნიკური მუშაკი ტექნიკური უზრუნველყოფის, ელექტროტექნიკური აპარატურისა და ბუნებრივი აირით მომსახურების საკითხებში	1
შრომითი ხელშეკრულების ჯამი		**5**